



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### კაბალიკაშვილი იაგორ ივანეს ძე



კაბალიკაშვილი იაგორ ივანეს ძე (2.V.1882, სტეფანწმინდა, ახლანდ. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, – 15. IX. 1935, იქვე), ალპინისტი, ქართული ალპინიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მუშაობდა დევდარაკის სპილენძის მადაროში. პარალელურად მონაწილეობდა ალპინისტურ ასვლებში. პირველად უცხოელებთან ერთად ავიდა მყინვარწვერზე (1907); იყო 1923 გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მყინვარწვერზე მონყობილი პირველი ქართ. ექსპედიციის გამყოლი, თეთნულდსა (1930) და უშბაზე (1934) მონყობილი ასვლების მონაწილე, ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოროლ. სადგურის პირველი მოზამთრე (1934).

ი. კაბალიკაშვილი

დალაშქრული აქვს კავკასიონის მწვერვალები: იალბუზი, მყინვარწვერი (25-ჯერ), თეთნულდი, უშბა, ადაი-ხოხი, ამანაუზი, ერწახვი, მარუხი და სხვ. გამოქვეყნებული აქვს ლექსები, მ. შ. ცნობილია „უშბაზე ასვლის ლექსი“. კ-ის ლექსები თარგმნილია რუს. ენაზე პოეტ ნ. ტიხონოვის მიერ.

---